- 5.3 ათასი ლარი ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოების ასიგნებაზე, მათ შორის: 3.8 ათასი ლარი მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნებაზე (სოფ. შავლეღეს ტერიტორიალური ორგანოს შრომის ანაზღაურების ხარჯები), 1.5 ათასი ლარი - მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნებაზე (სოფ. შავლეღეს ტერიტორიალური ორგანოს ოფისის ხარჯები);

ბ) ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯების ასიგნებებზე 40.5 ათასი ლარი, კერძოდ:

- 1.1 ათასი ლარი „გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ასიგნებაზე, მათ შორის: 1.1 ათასი ლარი სოფ. შავდელეს სოფლის სახელწოდების აღმნიშვნელი 3 ცალი ტრაფარეტის დამზადებაზე;

- 2.7 ათასი ლარი „გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯები“-ს ასიგნებაზე, მათ შორის: 2.7 ათასი ლარი - ქ. ხობის მიხეილ იოსავას სახელობის ქუჩაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოების დაფინანსება;

- 36.7 ათასი ლარი „საკანალიზაციო და სამელიორაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები“-ს ასიგნებაზე, მათ შორის: 1.8 ათასი ლარი ქ. ხობში კოსტავასა და წერეთლის ქუჩებზე გარე კანალიზაციის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება, 1.4 ათასი ლარი ქ. ხობის აღმაშენებლის ქუჩიდან კოლხეთის დასახლებამდე სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოების ასიგნებაზე დამატება, 33.5 ათასი ლარი დავით აღმაშენებლის ქუჩაზე წერეთლის ქუჩიდან დ. აღმაშენებლის I ჩიხამდე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების დაფინანსება;

გ) საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯების ასიგნებაზე 12.0 ათასი ლარი, კერძოდ:

- 12.0 ათასი ლარი საჯარო სკოლების დაფინანსების ასიგნებაზე, მათ შორის: 12.0 ათასი ლარი საჯარო სკოლების ასიგნებების მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნებაზე, აქედან: 12.0 ათასი ლარი სოფ. შავდელეს საჯარო სკოლის ოთახების სარემონტო სამუშაოების დაფინანსება.

მეხუთე ცვლილება 2011 წლის 11 ოქტომბრის №49 დადგენილება

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 ივლისის N5 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია შემდეგი გადანაწილებები:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 23 აგვისტოს N324 ბრძანებით, შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“-სათვის ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში 1390 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“-ს ასიგნება და 1390 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნება (1000 ლარი პრიზების შეძენის და 390 ლარი სამეურნეო საქონლის შეძენა);

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 26 აგვისტოს N330 ბრძანებით, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურებისათვის გამოყოფილ ასიგნებებში:

ბ.ა) გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურისათვის გამოყოფილ ასიგნებებში 3540 ლარით შემცირდა მუხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნებები და შესაბამისად 3540 ლარით გაიზარდა მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნება;

ბ.ბ) გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურისათვის გამოყოფილ ასიგნებებში 2310 ლარით შემცირდა მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნება და შესაბამისად 2310 ლარით გაიზარდა მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნება;

ბ.გ) გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურისათვის გამოყოფილ ასიგნებებში 1000 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“-ს ასიგნება, 900 ლარით - მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „მივლინებები“-ს ასიგნება, 1190 ლარით - მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ასიგნება და შესაბამისად 3090 ლარით გაიზარდა მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნება;

ბ.დ) გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურისათვის გამოყოფილ ასიგნებებში 1400 ლარით შემცირდა მუხლი „არაფინანსური

აქტივების ზრდა“-ს ასიგნება და შესაბამისად 1400 ლარით გაიზარდა მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნება;

ბ.ე) გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურისათვის გამოყოფილ ასიგნებებში 320 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „მივლინებები“-ს ასიგნება, 1000 ლარით - მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნება და შესაბამისად 1320 ლარით გაიზარდა მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნება;

ბ.ვ) გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურისათვის გამოყოფილ ასიგნებებში 700 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“-ს ასიგნება და შესაბამისად 700 ლარით გაიზარდა მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნება;

ბ.ზ) გამგეობის ტერიტორიული ორგანოებისათვის გამოყოფილ ასიგნებებში 900 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“-ს ასიგნება, 7500 ლარით - მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ასიგნება და შესაბამისად 8400 ლარით გაიზარდა მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნება;

გ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 29 აგვისტოს N334 ბრძანებით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში 580 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს „საოფისე ავეჯის შეძენის ხარჯები“-ს ასიგნება და შესაბამისად 400 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს „კავშირგაბმულობის ხარჯები“-ს ასიგნება, 180 ლარით - „ოფისის ხარჯი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ ასიგნება;

დ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 30 აგვისტოს N336 ბრძანებით, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით კეთილმოწყობის ღონისძიებებისათვის გამოყოფილ ასიგნებებში 4910 ლარით შემცირდა „ყოფილი აგროსამრეწველო გაერთიანების შენობის ფასადის შეღებვის სამუშაოები“-ს ასიგნება და შესაბამისად 4910 ლარით გაიზარდა „ცოტნე დადიანის ქუჩაზე, ყოფილი საგადასახადო სამსახურის შენობის მიმდებარედ, მხატვრული პანოს რეაბილიტაციის სამუშაოები“-ს ასიგნება;

ე) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 06 სექტემბრის N364 ბრძანებით, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ღონისძიებებისათვის გამოყოფილ ასიგნებებში 2000 ლარით შემცირდა „კეთილმოწყობის ღონისძიებები“-ს ასიგნება (ყოფილი აგროსამრეწველო გაერთიანების შენობის ფასადის შეღებვის სამუშაოების ასიგნება) და შესაბამისად 2000 ლარი მიიმართა „ვეტერინარიის ხარჯები“-ს ასიგნებაზე (ჯილდებით დაცემული პირუტყვის სამარხების მოწყობა);

ვ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 08 სექტემბრის N367 ბრძანებით, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ღონისძიებებისათვის გამოყოფილ ასიგნებებში 10000 ლარით შემცირდა „გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების“ ასიგნება (სოფელ პატარა ფოთის შავლელეს უბანში 9 კმ გზის ორმული შეკეთების სამუშაოების ასიგნება) და შესაბამისად 10000 ლარით გაიზარდა „ვეტერინარიის ხარჯები“-ს ასიგნებები (ჯილდებით დაცემული პირუტყვის სამარხების მოწყობა);

ზ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 08 სექტემბრის N369 ბრძანებით, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით საჯარო სკოლებისათვის გამოყოფილ გამოყოფილ ასიგნებებში 5500 ლარით შემცირდა სოფელ ხეთის წინაგოლის უბნის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნება და შესაბამისად 5500 ლარი მიიმართა სტიქიისაგან (ქარი) დაზიანებული სოფ. თორსის საჯარო სკოლის ფანჯრების რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნებაზე;

თ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 09 სექტემბრის N370 ბრძანებით, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის

ცენტრი“-სათვის გამოყოფილ ასიგნებებში 2500 ლარით შემცირდა სოფელ საჯიჯაოს კულტურის სახლში კრივისა და ჭიდაობის ოთახების მოწყობის სამუშაოების ასიგნება და შესაბამისად 2500 ლარი მიიმართა ქ. ხობში კულტურის სახლის ელ. გაყვანილობისა და განათების სისტემის შეკეთების სამუშაოების სამუშაოების ასიგნებაზე;

ი) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 09 სექტემბრის N371 ბრძანებით, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში 400 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“-ს ასიგნება და შესაბამისად 400 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნება (200 ლარი-კონდიციონერების რემონტი, 200 ლარი-სამუშაო მაგიდის შეძენა);

კ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 13 სექტემბრის N377 ბრძანებით, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ღონისძიებებისათვის გამოყოფილ ასიგნებებში:

კ.ა) 6000 ლარით შემცირდა „წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“-ს ასიგნებები (მათ შორის: 1500 ლარით სოფ. პატარა ფოთის შავდელის უბნის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნება, 4500 ლარით სოფ. პატარა ფოთის შავდელის უბნის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაციის II ეტაპის სამუშაოების ასიგნება);

კ.ბ) 8000 ლარით შემცირდა „კეთილმოწყობის ღონისძიებები“-ს ასიგნება (მათ შორის: 3000 ლარით ქ. ხობის ახალი სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოების ასიგნება, 5000 ლარით ქ.ხობში ც.დადიანის ქუჩაზე წმინდა სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების ასიგნება);

კ.გ) 6000 ლარი მიიმართა „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“-ს ასიგნებაზე (მათ შორის: სოფ. საჯიჯაოს ჯაპიშაქრის უბანში 1.9 კმ. გზის ორმული შეკეთების სამუშაოების ასიგნებაზე);

კ.ვ) 8000 ლარი მიიმართა „წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“-ს ასიგნებაზე (მათ შორის: სოფ. შუა ხორგაში 2 ცალი ტუმბოს შეძენისა და დამონტაჟების სამუშაოების ასიგნებაზე);

ლ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 13 სექტემბრის N378 ბრძანებით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურისათვის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში:

ლ.ა) 1700 ლარით შემცირდა მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნება (სატელიტური ანტენის შეძენის ხარჯები);

ლ.ბ) 1610 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნებები (მათ შორის: 240 ლარით „მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟება“-ს ასიგნებები, 970 ლარით „საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯები“-ს ასიგნებები, 400 ლარით „შენიშნული ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯი“-ს ასიგნებები);

ლ.გ) 1660 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნება (მათ შორის: 650 ლარით „საოფისე მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯი“-ს ასიგნება, 1010 ლარით „ოფისის ხარჯი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ ასიგნება);

ლ.დ) 1650 ლარით გაიზარდა მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნება (დახლ-მაცივარის შეძენის ასიგნება);

მ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 19 სექტემბრის N381 ბრძანებით, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით „ახალგაზრდული ორგანიზაციების, ღონისძიებების დაფინანსება“-სათვის გამოყოფილ ასიგნებებში 200 ლარით შემცირდა „შეხვედრა საჯარო სკოლის თვითმმართველობის წარმომადგენლებთან თემაზე: „როგორ ვიცნობთ საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს“ ღონისძიების ასიგნება და 200 ლარით გაიზარდა პროგრამა „პატრიოტი“-ს ღონისძიების ასიგნება (სატრანსპორტო მომსახურება);

ნ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 20 სექტემბრის N384 ბრძანებით, ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრი“-სათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში: 2490 ლარით შემცირდა მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნება და 1490 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს

(ინვენტარის შეძენა) ასიგნება, 1000 ლარით - მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს (ინვენტარის შეძენა) ასიგნება.

ო) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 20 სექტემბრის N385 ბრძანებით, შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“-სათვის ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში 2800 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“-ს ასიგნება და 2800 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნება (1500 ლარი სტადიონის ბილბორდების განახლება და 1300 ლარი სტადიონის ტრიბუნების რემონტი);

პ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 26 სექტემბრის N398 ბრძანებით, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით საკანალიზაციო და სამელიორაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებებისათვის გამოყოფილ ასიგნებებში 4000 ლარით შემცირდა ქ. ხობში ჩაის კომბინატის მიმდებარე ტერიტორიაზე (ბარათაშვილის ქუჩიდან) სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოების ასიგნება და 4000 ლარი მიიმართა ქ. ხობში ვაჟა-ფშაველას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნებაზე;

ჟ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 28 სექტემბრის N405 ბრძანებით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნებებში 700 ლარით შემცირდა ფინანსური ანალიზისა და ბუღალტრული პროგრამის შესყიდვის ასიგნება და 700 ლარით მიიმართა იქნეს კონდიციონერის შესყიდვის ასიგნებაზე;

რ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 28 სექტემბრის N406 ბრძანებით, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით კეთილმოწყობის ღონისძიებებისათვის გამოყოფილ ასიგნებებში 1250 ლარით შემცირდა სოფ. შუა ხორგაში ცენტრალური სტადიონის კეთილმოწყობის სამუშაოების ასიგნება და 1250 ლარი მიიმართა ქ. ხობის ცენტრში (ყოფილი საგადასახადოს შენობის წინ) სკამებისა და დეკორატიული ღობის აღდგენისა და სამღებრო სამუშაოების ასიგნებაზე;

ს) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 28 სექტემბრის N407 ბრძანებით, შ.პ.ს. „ხობი დასუფთავება და განათება“-სათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში 2000 ლარით შემცირდა მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნება და 2000 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ასიგნება (მათ შორის: 500 ლარით ქვემუხლი „მივლინებები“-ს ასიგნება, 1500 ლარით - ქვემუხლი „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ასიგნება (აქედან: 900 ლარის საწვავ-საპოხი მასალების შეძენაზე, 600 ლარი ტრანსპორტისა და ტექნიკის არაკლასიფიცირებულ ხარჯებზე, კერძოდ ტრანსპორტის დაქირავება);

2. შემცირდა ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში:

ა) აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ასიგნება 1.6 ათასი ლარით, კერძოდ:

- 1.6 ათასი ლარი ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოების ასიგნება, მათ შორის: 1.6 ათასი ლარი - მუხლი „საქონელი დამომსახურება“-ს ქვემუხლის „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნება (0.9 ათასი ლარი - სოფ. პირველი ხორგის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ასიგნება, 0.7 ათასი ლარი - სოფ. შუა ხორგის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ასიგნება);

ბ) ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ასიგნებები 90.8 ათასი ლარით, კერძოდ:

- 10.4 ათასი ლარით „გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ასიგნება, მათ შორის: 6.4 ათასი ლარით - ურთის მთაზე რადიომონიტორინგის სტაციონალურ სადგურთან მისასვლელი გზის ორმული შეკეთების სამუშაოების ასიგნება, 4.0 ათასი ლარით - სოფ. პატარა ფოთის შავდელეს უბანში 9 კმ გზის ორმული შეკეთების სამუშაოების ასიგნება;

- 7.3 ათასი ლარით „სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯები“-ს ასიგნება, მათ შორის: 0.6 ათასი ლარით სოფ. საჯიჯაოს ჯაპიშაქრის უბანში მდ. ჭანისწყალზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ასიგნება, 6.7 ათასი ლარით - სოფ. პირველი მაისის საკვიკვინოს უბანში მდ. მუნჩიას გასწორებაზე სამუშაოების ასიგნება;

- 8.8 ათასი ლარით კეთილმოწყობის ღონისძიებების ხარჯების ასიგნება, მათ შორის: 0.6 ათასი ლარით სასტუმრო „კოლხეთი“-ს წინ მდებარე ამორტიზირებული ღობის დემონტაჟი და ც. დადიანის სკვერის სამღებრო სამუშაოების ასიგნება, 5.0 ათასი ლარით - ყოფილი აგროსამრეწველო გაერთიანების ფასადის შეღებვის სამუშაოების ასიგნება, 2.7 ათასი ლარით - ც. დადიანის ქუჩაზე (ყოფილი საგადასახადო სამსახურის შენობის მიმდებარედ) მხატვრული პანოს რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნება, 0.5 ათასი ლარით - წმინდა სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების ასიგნება;

- 64.3 ათასი ლარით „საკანალიზაციო და სამელიორაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები“-ს ასიგნება, მათ შორის: 0.8 ათასი ლარით - ქ. ხობში ც. დადიანის ქუჩაზე ეკლესიის უკანა მხარეს სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოების ასიგნება, 1.1 ათასი ლარით - სოფ. ყულევში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების ასიგნება, 0.2 ათასი ლარით - სოფ. საგვიჩიოს ცენტრში სანიაღვრე არხის მოწყობის I ეტაპის სამუშაოების ასიგნება, 7.0 ათასი ლარით - ქ. ხობში ჩაის კომბინატის მიმდებარე ტერიტორიაზე (ბარათაშვილის ქუჩიდან) სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოების ასიგნება, 55.2 ათასი ლარით - ქ. ხობში აღმაშენებლის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის I ეტაპის სამუშაოების ასიგნება.

გ) საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯების ასიგნებები 16.8 ათასი ლარით, კერძოდ:

- 12.1 ათასი ლარით საჯარო სკოლების დაფინანსების ასიგნება, კერძოდ: 12.1 ათასი ლარით საჯარო სკოლების ასიგნებების მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნება, მათ შორის: 2.1 ათასი ლარით - სოფ. ახალი ხიბულის საჯარო სკოლის ეზოს შემოკავების სამუშაოების ასიგნება, 9.0 ათასი ლარით - სოფ. ხეთის საჯარო სკოლის ეზოს შემოკავების სამუშაოების ასიგნება, 1.0 ათასი ლარით - სოფ. პატარა ფოთის საჯარო სკოლის ეზოს შემოკავების სამუშაოების ასიგნება;

- 4.7 ათასი ლარით ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-ს დაფინანსების ასიგნება, კერძოდ: ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-ს ასიგნებების მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნება (მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის სახურავისა და დაზიანებული ჭერის რემონტის სამუშაოების ასიგნება);

3. გამოთავისუფლებული თანხების მთლიანი მოცულობა - 109.2 ათასი ლარი მიიმართა შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად:

ა) აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ხარჯებზე 6.1 ათასი ლარი, კერძოდ:

- 1.1 ათასი ლარი ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ასიგნებაზე, მათ შორის: 1.1 ათასი ლარი მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნებაზე;

- 5.0 ათასი ლარი სარეზერვო ფონდის ასიგნებაზე;

ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების ხარჯების ასიგნებაზე 2.5 ათასი ლარი, კერძოდ:

- 2.5 ათასი ლარი საქართველოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს ხობის რაიონული სამმართველოს ასიგნებაზე, მათ შორის: 2.5 ათასი ლარი მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნებაზე;

გ) ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯების ასიგნებებზე 72.7 ათასი ლარი, კერძოდ:

- 6.7 ათასი ლარი „სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯები“-ს ასიგნებაზე, მათ შორის: 6.7 ათასი ლარი - სოფ. პირველ მაისში ზონდის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. მუნჩიის გასწორხაზებისა და ნაპირსამაგრი სამუშაოების ასიგნებაზე;

- 15.2 ათასი ლარი „წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“-ს ასიგნებებზე, მათ შორის: 2.5 ათასი ლარი - ხეთის პროფტექნიკუმის შენობაში ჩასახლებული დევნილებისათვის წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების სამუშაოების ასიგნებაზე, 12.7 ათასი ლარი - სოფ. პირველი მაისის ოქროს საწმისის უბნის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნებაზე;

- 24.6 ათასი ლარი შ.პ.ს. „ხობი დასუფთავება და განათება“-ს სუბსიდიის ასიგნებაზე (გარე განათების ელ. ენერჯის ხარჯებზე);
- 26.2 ათასი ლარი „დასუფთავების ღონისძიებები“-ს ასიგნებაზე (ნაგავსაყრელის მოვლა-შენახვის ხარჯების ასიგნება);

დ) საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯების ასიგნებაზე 27.9 ათასი ლარი, კერძოდ:

- 23.4 ათასი ლარი სკოლამდელი განათლების დაფინანსებას ასიგნებებზე, მათ შორის: 19.6 ათასი ლარი - ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საამღზრდელო გაერთიანება“-ს სუბსიდიურ ასიგნებაზე, 3.8 ათასი ლარი - მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნებაზე (სოფ. თორსის საბავშვო ბაღის საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები);
- 4.5 ათასი ლარი საჯარო სკოლების დაფინანსების ასიგნებაზე, მათ შორის: 1.4 ათასი ლარი საჯარო სკოლების ასიგნებების მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნებაზე, აქედან: 1.4 ათასი ლარი სოფ. ქარიატის საჯარო სკოლის ოთახის სარემონტო სამუშაოების დაფინანსება, საფუძველი: ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის 2011 წლის 29 სექტემბრის №1174 წერილი; 3.1 ათასი ლარი - საჯარო სკოლების სუბსიდიურ ასიგნებაზე, მათ შორის: 2.0 ათასი ლარი - სოფ. შუა ხორგის საჯარო სკოლის სუბსიდია (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა ოთახის და პანდუსის მოწყობა), 1.1 ათასი ლარი - სოფ. თორსის საჯარო სკოლის სუბსიდია (სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯები).

მეექვსე ცვლილება 2011 წლის 08 ნოემბრის №50 დადგენილება

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 ივლისის N5 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია შემდეგი გადანაწილებები:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 04 ოქტომბრის N422 ბრძანებით, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით „სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები“-სათვის გამოყოფილ ასიგნებებში 1000 ლარით შემცირდა „დევნილთა დაკრძალვის ხარჯები“-ს ასიგნება და 1000 ლარით გაიზარდა „ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები“-ს ასიგნება;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 04 ოქტომბრის N423 ბრძანებით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ადმინისტრაციული სამსახურისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილ მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლის „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ასიგნებებში 2750 ლარით შემცირდა „მიმდინარე რემონტის ხარჯი“-ს ასიგნება და 2750 ლარით გაიზარდა „სათადარიგო ნაწილები“-ს ასიგნება;

გ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 05 ოქტომბრის N425 ბრძანებით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ტერიტორიული ორგანოებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლის „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ასიგნებებში 1650 ლარით შემცირდა „საწვავ-საპოხი მასალების შეძენა“-ს ასიგნება და 1650 ლარით გაიზარდა „ტრანსპორტისა და ტექნიკის არაკლასიფირებული ხარჯები“-ს ასიგნება (ტრანსპორტის დაქირავების ხარჯები);

დ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 11 ოქტომბრის N435 ბრძანებით, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ღონისძიებებისათვის გამოყოფილ ასიგნებებში 2700 ლარით შემცირდა სოფ. პირველი მაისის საკვიკვინიოს უბანში მდ. მუნჩიას გასწორხაზების სამუშაოების ასიგნება ასიგნება და 2700 ლარით გაიზარდა სოფ. პირველ მაისში ბონდის ხიდის აღდგენა ნაპირგამაგრებით სამუშაოების ასიგნება;

ე) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 11 ოქტომბრის N436 ბრძანებით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის სახანძრო-სამაშველო სამსახურისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოყოფილ ასიგნებებში 7316 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს

ქვემოხლი „რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები“-ს ასიგნება და 4552 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემოხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნება, 2764 ლარით - მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნება;

ვ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 11 ოქტომბრის N437 ბრძანებით, ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-სათვის ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში 100 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემოხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნება (კომპიუტერის სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯები), 200 ლარით ლარით - მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემოხლი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“-ს ასიგნება (ლონისძიებების ხარჯების ასიგნება) და 300 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემოხლი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“-ს ასიგნება (სატენდერო ხარჯები);

ზ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 11 ოქტომბრის N443 ბრძანებით, „სპორტული და კულტურული ღონისძიებები“-სათვის გამოყოფილ ასიგნებებში 2500 ლარით შემცირდა სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ხარჯების მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემოხლი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“-ს ასიგნება და 2500 ლარით გაიზარდა ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსების ხარჯების მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემოხლი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“-ს ასიგნება.

თ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 18 ოქტომბრის N444 ბრძანებით, ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-სათვის ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში 450 ლარით შემცირდა ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-ს მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნება (ინვენტარის შეძენის ასიგნება) და 450 ლარით გაიზარდა ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-ს მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემოხლი „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“-ს ასიგნება;

ი) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 20 ოქტომბრის N449 ბრძანებით, ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“-სათვის ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში გამოყოფილ ასიგნებებში 3200 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემოხლი „კვების ხარჯები“-ს ასიგნება და 2800 ლარით გაიზარდება მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნება (ინვენტარის შეძენის ხარჯები), 350 ლარით - მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემოხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნება (ინვენტარის შეძენის ხარჯები), 50 ლარით - მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემოხლი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“-ს ასიგნება (ტენდერის გამოცხადების ხარჯები);

კ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 20 ოქტომბერი N450 ბრძანებით, ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“-სათვის ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში გამოყოფილ ასიგნებებში 1565 ლარით შემცირდება მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემოხლი „კვების ხარჯები“-ს ასიგნება და 1565 ლარით გაიზარდა მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნება (კაპიტალური ხარჯები);

ლ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 21 ოქტომბრის N453 ბრძანებით, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ღონისძიებებისათვის გამოყოფილ ასიგნებებში 79.0 ათასი ლარით შემცირდა ქ. ხობში ც. დადიანის ქუჩაზე 5 მრავალსართულიანი სახლის ფასადების კეთილმოწყობის სამუშაოების ასიგნება და 74.0 ათასი ლარი მიიმართა სოფ. ჭალადიდში ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიის კეთილმოწყობისა და გარე საინჟინრო ქსელების მონტაჟის სამუშაოების ასიგნებაზე (მათ შორის: 69.85 ათასი ლარი - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, 2.75 ათასი ლარი - სანებართვო მოსაკრებელი ელ. მომარაგებაზე, 0.4 ათასი ლარი - სანებართვო მოსაკრებელი წყალმომარაგებაზე და 1.0 ათასი ლარი - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე), 5.0 ათასი ლარი მიიმართა სოფ. ჭალადიდის ხელოვნურსაფარიანი მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნებაზე (მათ შორის: 0.25 ათასი ლარი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე);

მ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 25 ოქტომბრის N460 ბრძანებით, შ.პ.ს. „ხობი დასუფთავება და განათება“-სათვის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 3000 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ასიგნებაში დიზელის საწვავის შეძენის ასიგნება, 1000 ლარით - მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნება (ინვენტარის შეძენის ხარჯები) და 4000 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ასიგნებაში ბენზინის საწვავის შეძენის ასიგნება;

ნ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 03 ნოემბრის N476 ბრძანებით, „ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება“-სათვის გამოყოფილ ასიგნებებში 100 ლარით შემცირდა „შეხვედრა საჯარო სკოლის თვითმმართველობის წარმომადგენლებთან თემაზე: „როგორ ვიცნობთ საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს“ ღონისძიების ასიგნება, 900 ლარით - „სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებულებისათვის ექსკურსია“-ს ღონისძიების ასიგნება და 1000 ლარით გაიზარდა „anaklia feshion week“ ღონისძიების ასიგნება;

2. 128.1 ათასი ლარით გაიზარდა ბიუჯეტის შემოსავლები, კერძოდ:

- 27.0 ათასი ლარით იზრდება „მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის“-დან შემოსავლები;

- 11.1 ათასი ლარით იზრდება „სანებართვო მოსაკრებელი“-დან შემოსავლები;

- 90. ათასი ლარით იზრდება „ჯარიმები, სანქციები და საურავები“-დან შემოსავლები;

3. შემცირდა ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში:

ა) აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ასიგნება 47.4 ათასი ლარით, კერძოდ:

- 14.7 ათასი ლარით მუნიციპალიტეტის საკრებულოს ასიგნება, მათ შორის: 6.2 ათასი ლარი მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნება, 1.5 ათასი ლარი მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“-ს ასიგნება, 7.0 ათასი ლარი მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნება;

- 27.9 ათასი ლარით ადმინისტრაციული სამსახურის ასიგნება, მათ შორის: 20.4 ათასი ლარით მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“-ს ასიგნება, 6.5 ათასი ლარით მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ასიგნება, 1.0 ათასი ლარით მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნება;

- 2.9 ათასი ლარით საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ასიგნება, მათ შორის: 0.5 ათასი ლარით მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“-ს ასიგნება, 2.4 ათასი ლარით მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნება;

- 0.4 ათასი ლარით ზედამხედველობის სამსახურის ასიგნება, მათ შორის: 0.4 ათასი ლარი მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნება;

- 1.5 ათასი ლარით საბანკო მომსახურების ხარჯების ასიგნება;

ბ) თავდაცვის ღონისძიებების ასიგნებები 5.0 ათასი ლარით, კერძოდ:

- 5.0 ათასი ლარით გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ასიგნება, მათ შორის: 5.0 ათასი ლარი მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“-ს ასიგნება (სატრანსპორტო მომსახურების ხარჯების ასიგნება);

გ) ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ასიგნებები 4.5 ათასი ლარით, კერძოდ:

- 0.7 ათასი ლარით „სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯები“-ს“-ს ასიგნება, მათ შორის: 0.7 ათასი ლარი სოფ. პატარა ფოთში მდ. რიონზე გარღვეული დამბის აღდგენის სამუშაოების ასიგნება;

- 3.5 ათასი ლარით „კეთილმოწყობის ღონისძიებების ხარჯები“-ს ასიგნება, მათ შორის: 3.5 ათასი ლარი ც. დადიანის ქუჩაზე ცენტრალური გზის გასწვრივ ყოფილი კოლხეთის მეურნეობის შესახვევამდე მოსახლეობის ღობის შესაღებად საღებავის შეძენის ასიგნება;

- 0.3 ათასი ლარით „საკანალიზაციო და სამელიორაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები“-ს ასიგნება, მათ შორის: 0.3 ათასი ლარი სოფ. ახალი სოფლის საშონიოს უბანში სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოების ასიგნება;

4. შემოსულობების ზრდით მისაღები 128.1 ათასი ლარი და გამოთავისუფლებული თანხები 56.9 ათასი ლარი, სულ 185.0 ათასი ლარი მიიმართა შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად:

ა) აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ხარჯებზე 116.9 ათასი ლარი, კერძოდ:

- 24.1 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკრებულოს ასიგნებაზე, მათ შორის: 24.1 ათასი ლარი მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნებაზე;

- 29.5 ათასი ლარი გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ასიგნებაზე, მათ შორის: 19.5 ათასი ლარი მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნებაზე; 6.3 ათასი ლარი მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნება, 3.7 ათასი ლარი მუხლი არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნება;

- 7.4 ათასი ლარი გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ასიგნებაზე, მათ შორის: 7.4 ათასი ლარი მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნებაზე;

- 8.9 ათასი ლარი გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ასიგნებაზე, მათ შორის: 8.9 ათასი ლარი მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნებაზე;

- 2.3 ათასი ლარი გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის ასიგნებაზე, მათ შორის: 2.3 ათასი ლარი მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნებაზე;

- 6.5 ათასი ლარი გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ასიგნებაზე, მათ შორის: 6.5 ათასი ლარი მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნებაზე;

- 4.9 ათასი ლარი გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის ასიგნებაზე, მათ შორის: 4.9 ათასი ლარი მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნებაზე;

- 33.3 ათასი ლარი გამგეობის ტერიტორიალური ორგანოების ასიგნებაზე, მათ შორის: 33.3 ათასი ლარი მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნებაზე;

ბ) თავდაცვის ღონისძიებების ასიგნებებზე 7.0 ათასი ლარი, კერძოდ:

- 7.0 ათასი ლარი გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ასიგნებაზე, მათ შორის: 7.0 ათასი ლარი მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნებაზე;

გ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის ასიგნებებზე 26.1 ათასი ლარი, კერძოდ:

- 26.1 ათასი ლარი გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის ასიგნებაზე, მათ შორის: 26.1 ათასი ლარი მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნებაზე;

დ) ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯების ასიგნებებზე 35.0 ათასი ლარი, კერძოდ:

- 30.0 ათასი ლარი „გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ასიგნება, მათ შორის: 30.0 ათასი ლარი მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნება;

- 5.0 ათასი ლარი შ.პ.ს. „ხობი დასუფთავება და განათება“-ს სუბსიდიის ასიგნებაზე

მეშვიდე ცვლილება 2011 წლის 27 დეკემბრის 52 დადგენილება

1. 1.1 ათასი ლარით გადიდდა ბიუჯეტის შემოსავლები, კერძოდ:

1.1 ათასი ლარით გადიდდა შემოსავლების მუხლი „არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი შემოსავლები მომსახურების გაწევიდან“;

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 ივლისის N5 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია შემდეგი გადანაწილებები:

- ა) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 11 მარტის N51 ბრძანებით ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმწრდელო გაერთიანება“-სათვის ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში გამოყოფილ ასიგნებებში 405 ლარით შემცირდა მუხლი „შრომის ანაზღაურების“-ს ასიგნება და 405 ლარით გაიზარდა მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნება;
- ბ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 24 მარტის N59 ბრძანებით ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-სათვის ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში 2400 ლარით შემცირდა ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-ს მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნება (აქედან: 2400 ლარი სასპორტო სკოლის მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნება) და 2400 ლარით გაიზარდა ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-ს დირექციის ხარჯების მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“-ს ასიგნება;
- გ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 01 აპრილის N82 ბრძანებით შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“-სათვის ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში 6000 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „კვების ხარჯები“-ს ასიგნება და 1500 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნება, 300 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები“-ს ასიგნება, 4200 ლარით გაიზარდა მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნება (მათ შორის: 400 ლარი - კაპიტალური ხარჯი, 3800 ლარი - ინვენტარის შეძენა);
- დ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 10 მაისის N132 ბრძანებით ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-სათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში 1700 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები“-ს ასიგნება და 1700 ლარით გაიზარდა მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს (ინვენტარის შეძენა) ასიგნება;
- ე) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 23 მაისის N138 ბრძანებით ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრი“-სათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში 2346 ლარით შემცირდა მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნება და 546 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს (ინვენტარის შეძენა) ასიგნება, 1800 ლარით გაიზარდა მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს (ინვენტარის შეძენა) ასიგნება;
- ვ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 31 მაისის N154 ბრძანებით შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“-სათვის ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში 1000 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „მივლინებები“-ს ასიგნება და 1000 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ასიგნება (საწვავის შეძენის ხარჯები);
- ზ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 01 ივნისის N165 ბრძანებით ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმწრდელო გაერთიანება“-სათვის ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში გამოყოფილ ასიგნებებში 3170 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნება (კომუნალური ხარჯები) და 3170 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“-ს ასიგნება;
- თ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 06 ივნისის N169 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურისათვის ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში 300 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნებებში მეგრული სიმღერების ფესტივალზე საინფორმაციო ბუკლეტის გამოშვების ხარჯების ასიგნება და 300 ლარი მიმართულ იქნა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნებებში გაზეთ „მთავარი თემა

სამეგრელოში“ სპეციალურ ნომრის ხარჯების ასიგნებისათვის (2008 წლის 8 აგვისტოს დაღუპული ხობელ ახალგაზრდებზე ჩანართის მოთავსების ხარჯების ასიგნება);

ი) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 20 ივნისის N185 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოყოფილ ასიგნებებში 90 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლში „ოფისის ხარჯები“ „საწერ-სახაზავი ქარაღდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა“-ს ასიგნება და 90 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლში „ოფისის ხარჯები“ „ოფისის ხარჯი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“-ს ასიგნება (სამეურნეო ინვენტარის შეძენა);

კ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 22 ივნისის N192 ბრძანებით ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-სათვის ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში 1710 ლარით შემცირდა ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-ს სასპორტო სკოლის მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნება და 1280 ლარით გაიზარდა ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-ს ადმინისტრაციის მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნება, 180 ლარით გაიზარდა ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-ს სამუსიკო სკოლის მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნება, 180 ლარით გაიზარდა ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-ს ინფორმატიკის სასწავლო ცენტრის მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნება, 70 ლარით გაიზარდა ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-ს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნება;

ლ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 27 ივნისის N197 ბრძანებით შ.პ.ს. „ხობი დასუფთავება და განათება“-სათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში 4600 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლში „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ „გარე განათების მოვლა-შენახვა“-ს ღონისძიების ასიგნება და 4600 ლარით მიმართულ იქნა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლში „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ „ყვავილების ჩითილების შეძენა“-ს ღონისძიების ასიგნებაზე;

მ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 27 ივნისის N198 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში 1300 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლში „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები“ „სათადარიგო ნაწილების შეძენა“-ს ასიგნება და 1300 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლში „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები“ „მიმდინარე რემონტის ხარჯები“-ს ასიგნება;

ნ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 30 ივნისის N210 ბრძანებით შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“-სათვის ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში 1500 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“-ს ასიგნება და 1500 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ასიგნება (მიმდინარე რემონტის ხარჯი 150 ლარი, სათადარიგო ნაწილების შეძენის - 1350 ლარი);

ო) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 30 ივნისის N211 ბრძანებით შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“-სათვის ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში 2867 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“-ს ასიგნება და 2867 ლარით გაიზარდა მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნება;

პ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 07 ივლისის N226 ბრძანებით სოფ. შუა ხორგაში მდ. ხობისწყლის მარცხენა სანაპიროზე ნაპირგამაგრების ობიექტის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოყოფილი 398.0 ათასი ლარი გადანაწილდა: 369.0 ათასი ლარი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ასიგნებაზე, 15.61 ათასი ლარი გაუთვალისწინებელი ხარჯების ასიგნებაზე, 1.84 ათასი ლარი ტექ. ზედამხედველობის ხარჯების

ასიგნებაზე, 3.0 ათასი ლარი სანებართვო მოსაკრებლის ასიგნებაზე, 1.59 ათასი ლარი პროექტის ექსპერტიზის ხარჯების ასიგნებაზე, 6.96 ათასი ლარი შესრულებულ სამუშაოთა ექსპერტიზის ასიგნებაზე;

ჟ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 08 ივლისის N227 ბრძანებით მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებებში 2160 ლარით შემცირდა მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამით სოფ. პატარა ფოთის შავდელის უბნისათვის გათვალისწინებული ასიგნება და 2160 ლარი მიმართულ იქნა მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამის მართვის ხარჯების ასიგნებაზე;

რ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 11 ივლისის N230 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში 2200.9 ლარით შემცირდა მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნება (პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები) და 1200.9 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნება, 500 გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“-ს ასიგნება, 500 ლარით გაიზარდა მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნება;

ს) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 27 ივლისის N267 ბრძანებით ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-სათვის ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში 340 ლარით შემცირდა ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-ს მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „მივლინებები“-ს ხარჯების ასიგნება (აქედან: 340 ლარი - დირექციის ხარჯების მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „მივლინებები“-ს ხარჯების ასიგნება) და 340 ლარით ლარით გაიზარდა ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-ს მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნება (აქედან: 340 ლარი - დირექციის ხარჯების მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნება, ინტერნეტმომსახურება);

ტ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 04 აგვისტოს N296 ბრძანებით ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“-სათვის ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში გამოყოფილ ასიგნებებში 150 (ასორმოცდაათი) ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნება (კომუნალური ხარჯები) და 150 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“-ს ასიგნება (ტენდერის გამოცხადების ხარჯები);

უ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 04 ნოემბრის N481 ბრძანებით ა.ი.პ. „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-სათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში 1400 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლში „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები“ „სათადარიგო ნაწილების შეძენა“-ს ასიგნება და 1400 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლში „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები“ „საწვავ-საპოხი მასალების შეძენას“-ს ასიგნება;

ფ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 04 ნოემბრის N482 ბრძანებით შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“-სათვის ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში დამტკიცებულ ასიგნებებში 1890 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“-ს ასიგნება და 1400 ლარით გაიზარდა მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნება, 180 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნება, 160 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“-ს ასიგნება, 150 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ასიგნება;

ქ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 04 ნოემბრის N483 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და

მოზილიზაციის სამსახურისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოყოფილ ასიგნებებში 1295 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“-ს ასიგნება (გაწვევის საექიმო კომისიის ხარჯები) და 1295 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნება (თანახმად დანართი 1-სა);

ღ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 04 ნოემბრის N484 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 72 ლარით შემცირდა სოფ. შუა ხორგის ტერიტორიული ორგანოსათვის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნება (სოფ. შუა ხორგის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ასიგნება) და 72 ლარით გაიზარდა სოფ. ქარიატის ტერიტორიული ორგანოსათვის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლი „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნება (ოფისის ხარჯი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული);

ყ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 04 ნოემბრის N485 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურისათვის ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 150 ლარით შემცირდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლის „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ასიგნებებში „საწვავ-საპოხი მასალების შეძენა“-ს ასიგნება და 120 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლის „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ასიგნებებში „სათადარიგო ნაწილები“-ს ასიგნება, 30 ლარით გაიზარდა მუხლი „საქონელი და მომსახურება“-ს ქვემუხლის „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ასიგნებებში „მიმდინარე რემონტის ხარჯი“-ს ასიგნება;

შ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 04 ნოემბრის N486 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ „საჯარო სკოლების დაფინანსება“-ს ასიგნებებში 500 ლარით შემცირდა მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნება (სოფ. ახ. ხიბულის საჯარო სკოლის ეზოს შემოკავების სარემონტო სამუშაოების ასიგნება) და 500 ლარით გაიზარდა მუხლი „სუბსიდიები“-ს ასიგნება (სოფ. შუა ხორგის საჯარო სკოლის სუბსიდია (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ოთახის და პანდუსის მოწყობა);

ც) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 07 ნოემბრის N491 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ღონისძიებებისათვის გამოყოფილ ასიგნებებში 5.85 ათასი ლარით შემცირდა ქ. ხობში რაპოს შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნება და 4.8 ათასი ლარით გაიზარდა ც. დადიანის ქუჩაზე არსებულ პარკებსა და სკვერებში დაბალი განათების მოწყობის სამუშაოების ასიგნება, 1.05 ათასი ლარით გაიზარდა ქ. ხობში ც. დადიანის ქუჩის №195 საცხოვრებელი სახლის ფასადის კეთილმოწყობის სამუშაოების ასიგნება;

ძ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 07 ნოემბრის N492 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ „საჯარო სკოლების დაფინანსება“-ს მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნებებში 2.85 ათასი ლარით შემცირდა სოფ. შავდელეს საჯარო სკოლის ოთახების რემონტის სამუშაოების ასიგნება და 2.85 ათასი ლარით გაიზარდა სოფ. პირველი მაისის სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნება;

